

2017 წლის შეჯამება

მომართვიანობა

ენერგომშენებლის აპარატში მომართვიანობის მაჩვენებელი კოლოსალურად იზრდება. სტატისტიკის მიხედვით, 2013 წლის მონაცემებთან შედარებით ის დაახლოებით 6-ჯერ მეტია. ეს მაჩვენებელი, ერთის მხრივ, მოქალაქეთა სამომხმარებლო ცოდნის ამაღლებაზე, მეორე მხრივ, კი სისტემაში არსებულ პრობლემებზე მიგვანიშნებს.

2017 წელს დარეგისტრირდა - 4333 განცხადება

კონსულტაციებისთვის მოგვმართა - 8474 მოქალაქემ

ელექტრონულ ფოსტასა და სოციალურ ქსელში მოგვმართა - 1758 მოქალაქემ

განცხადებათა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა კომპანიების მიხედვით

- სს „თელასი“ - 823
- სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ - 447
- შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ - 132
- შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ - 1163
- სს „საქორგაზი“ – 16
- შპს „ვისოლ-გაზი“ – 14
- შპს „ყამარ გაზი“ – 1
- შპს „ტაბა“- 16
- შპს „ვარკეთილარი“ - 3
- შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ - 972
- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ – 102
- შპს „მცხეთის წყალი“ – 168
- შპს „რუსთავის წყალი“ – 454
- შპს „ბათუმის წყალი „- 22

სექტორის მიხედვით

- წყალმომარაგება - 1718
- ელექტროენერგეტიკა - 1270
- ბუნებრივი გაზი - 1345

წყალმომარაგების სექტორი საჩივრების რაოდენობის მიხედვით 2017 წელსაც ლიდერობდა. ისევე როგორც ელექტროენერგეტიკაში, ძირითად პრობლემად რჩება გასულ წლებში დაგროვებული დავალიანება, რომელზეც სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ვრცელდება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. თბილისის მასშტაბით მრავალი საჩივარი დაფიქსირდა კომპანიის არასათანადო მომსახურებაზე, რაც გამოწვეული იყო მთელი წლის განმავლობაში მომსახურების ხშირი შეწყვეტით. საჩივრები აგრეთვე დაკავშირებული იყო რეზიდაბილიტაციის პროცესების გაჭიანურებასთან. რეგიონებში აქტიურად მოითხოვენ წყალმომარაგების ქსელის განვითარებას და მიწოდების სიხშირის გაზრდას.

ბუნებრივი გაზის სექტორი 2017 წელს მეორე ადგილზეა. 2016 წელთან შედარებით იმატა ბუნებრივი გაზის ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების მსურველთა განცხადებებმა, რომლებიც ძირითადად ვადების დარღვევაზე მიუთითებდნენ. გაზის სექტორში მრავალად დაფიქსირდა ხანდაზმული დავალიანებების პრობლემაც.

ელექტროენერგეტიკის სექტორში კვლავაც აქტუალურია სამი და მეტი წლის წინ კომპანიის მიმართ წარმოქმნილი ვალეები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ასახული იყო მომხმარებელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე. ამ მხრივ სერიოზული წინსვლა გვაქვს, ვინაიდან მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი, საზოგადოებრივი დამცველის დიდ ძალისხმევით, გათავისუფლდა ამ ვალდებულებისგან, რაც ჩამოწერილი თანხების ოდენობითაც აიხსნება. რეგიონში აქტუალურია მოძველებული ინფრასტრუქტურის გამოცვლის საკითხი.

რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები

2017 წელს საზოგადოებრივი დამცველის სამსახურიდან კომპანიების მისამართით გაიგზავნა 4625 რეკომენდაცია, ხოლო სემეკს მივმართეთ 1358 შუამდგომლობით.

საზოგადოებრივი დამცველის რეკომენდაციების საფუძველზე კომპანიების მიერ ჩამოწერილმა თანხამ 2017 წლის განმავლობაში 1 108 324.6 ლარი შეადგინა.

ხოლო სემეკის საჯარო სხდომებზე ჩვენი შუამდგომლობების საფუძველზე 1 494 868.7 ლარი ჩამოიწერა.

ჯამში ჩამოწერილმა თანხამ **2 603 193.2** ლარი შეადგინა.